საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 10/00 „26" აპრილი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ილია გოცირიძე

26 აპრილი
„--------"----------" 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის გასვლითი აუდიტის შედეგების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

შესავალი გვ.2

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები გვ.3

1. გადასახდელების სახეების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა გვ.4

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზების კანონიერება გვ.5

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96

ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136; www.control.ge

3. სახელმწიფო ქონების ჩამოწერისა და მიღებული ჯართის რეალიზაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან გვ.12
4. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით საწარმოების შექმნისა და სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მდგომარეობა გვ.13
აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ.13
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები გვ.14

ნაწილი I - შესავალი

კომპლექსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 9 დეკემბრის N102/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო. იურიდიული მისამართი: ქ. გორი, შმაგის ქ. N1.

აუდიტის ჯგუფი - აუდიტორები ქართლოს სახვაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), მამუკა გოგოხია.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის მიერ შესწავლილია ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი - 2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 2010 წლის 9 დეკემბრიდან 2010 წლის 29 დეკემბრამდე.

შემოკლებანი:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო - სამმართველო;

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - სამინისტრო;

ნაწილი II - აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- სააუდიტო პერიოდში, 26 შემთხვევაში მყიდველების მიერ დარღვეულია იპოთეკის ხელშეკრულების პირობები და არ არის გადახდილი ყოველწლიური გადასახდელები (მათ შორის 13 შემთხვევაში 2 წლის, 2008 და 2009 წლების) რის გამოც მათ მიერ გადასახდელი თანხა 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 33,9 ათას ლარს. აქედან ყოველწლიური გადასახდელი თანხა (მთლიანი ღირებულების 10%) - 32,9 ათას ლარს, ხოლო ვადაგადაცილებულ დღეებზე დასაკისრებელი ჯარიმა - 1,0 ათას ლარს. (გვ. 7)
- ქარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში მდებარე 20 ჰექტარზე გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებასა და გამგეობის შესაბამის დადგენილებაში სავარაუდოდ გადასწორებულია საიჯარო ვადა და მიწის ფართობი პრივატიზებულია საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ იმ დროისათვის მოქმედ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მოიჯარეს სამმართველოსათვის განცხადებით უნდა მიემართა ხელშეკრულების ვადის შეწყვეტამდე. (გვ. 8)
- გორის რაიონის სოფელ დიდ წერეთში მდებარე 22,64 ჰა მიწის ფართობზე გაცემული მიწის და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმები, მოიჯარის პირველი რიგის მემკვიდრის, სოფო ბესტავაშვილის ნაცვლად, გაფორმებულია მემკვიდრის კანონიერ წარმომადგენელზე. (გვ. 8)
- საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საუძველზეც განხორციელდა გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მდებარე 7,3 ჰექტარი მიწის ფართობის პრივატიზება, გაფორმებულია სელექციური მიღწევებისა და ჯიშთა გამოცდის სადგურთან. თუმცა, აღნიშნული ფართობი შესყიდულია ფიზიკური პირის ლევან გურჩიანის (საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად, იგი წარმოადგენდა სადგურის დირექტორს) მიერ პირად საკუთრებაში. (გვ. 8)

ნაწილი III - ძირითადი ტექსტი

1. გადასახდელების სახეების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა.

➢ სამმართველოს 2007 წლის საბიუჯეტო ასიგნებები დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმის შესაბამისად შეადგენდა 134,1 ათას ლარს. იმავე წელს გაწეულია 130,5 ათასი ლარის ოდენობის საკასო ხარჯი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 129,4 ათასი ლარი შეადგინა.

2008 წლის საბიუჯეტო ასიგნებები დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმის შესაბამისად შეადგენდა 119,3 ათას ლარს. საკასო ხარჯი გაწეულია 112,2 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტობრივი ხარჯი კი შეადგენდა 109,9 ათას ლარს.

საბიუჯეტო სახსრების მიღების დინამიკა



2009 წლის საბიუჯეტო ასიგნებები დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმის შესაბამისად შეადგენდა 110,8 ათას ლარს. იმავე წელს გაწეული საკასო ხარჯი - 97,3 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი - 96,6 ათას ლარს.

სამივე შემთხვევაში საკასო ხარჯების მეტობა ფაქტობრივ ხარჯებზე გამოწვეულია, საანგარიშო წელს შეძენილი საწვავისა და მცირეფასიანი ინვენტარის ფაქტობრივ ხარჯებში მომავალ წელს ასახვით.

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზების კანონიერება

2007 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სამმართველოს მიერ პრივატიზებულია 81 ერთეული შენობა-ნაგებობა, 61 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და 12,3 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სპეციალური აუქციონის ფორმით - 1,9 ათასი ჰექტარი, ღია აუქციონის ფორმით - 1,7 ათასი ჰექტარი და პირდაპირი მიყიდვით - 8,7 ათასი ჰექტარი).

„ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ქონების პრივატიზების კანონიერება გაანალიზდა 2007 წლის 25 ივლისის შემდგომ პერიოდზე.

შენობა-ნაგებობები და ტრანსპორტი:

- ზოგიერთ შემთხვევაში ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულებები განსაზღვრულია დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ისე, რომ სამმართველოს მიერ არ არის მოძიებული ობიექტების საბალანსო ღირებულებები. საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის იმ დროისათვის მოქმედი წესის თანახმად კი, ობიექტების ღირებულებები კერძო აუდიტორების მიერ დგინდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოიპოვებოდა მათი საბალანსო მონაცემები[1]. ასეთი სახითაა შეფასებული გორში ბერბუკის ყოფილი მოსაცდელის შენობა, კვენაქის მთაზე მდებარე

[1] საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის N671 ბრძანებულებით დამტკიცებული სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის წესის მე-2 მუხლი.

ცხვრის ფარდულის შენობა, გორიჯვრის ქუჩა N23-ში მდებარე 106 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.

➢ ზოგიერთ შემთხვევაში მყიდველებზე საკუთრების მოწმობები გაცემულია ისე, რომ მათ მიერ სრულად არ არის გადახდილი საპრივატიზებო ღირებულებები. თუმცა მოქმედი კანონმდებლობით მყიდველს ქონებაზე საკუთრების უფლება არ გადაეცემა, თუ იგი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის თანხას[2]. ასეთი სახით, შვიდ შემთხვევაში საპრივატიზებო ღირებულებებსა და ფაქტობრივად გადახდილ თანხებს შორის სხვაობა შეადგენს 319 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში. აღნიშნული ობიექტებია: გორის თეატრის სადეკორაციო საწყობი, ფლავიმანისა და ტინისხიდის მაღაზიები, გორში, ნავთსადენის ქუჩაზე მდებარე ნაგებობა, სოფელ ქვენა ტკოცაში მდებარე სამოქალაქო თავდაცვის საწყობები, სოფელ მეტეხის ინერტული მასალების გადასამუშავებელი საამქრო, ტრაქტორი მტზ-80.

➢ ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩა N12-ში მდებარე 50,4 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებისას, ბე-ს თანხა 130 აშშ დოლარის ნაცვლად გადახდილია 105 აშშ დოლარის ოდენობით. ამასთან, ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი დადგენილია შპს „საბინაო ტრესტის" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სამმართველოს მიერ სათანადო შეფასების გარეშე.

➢ შინდისის ვეტუბნის შენობის პრივატიზებისას მყიდველის მიერ საბოლოო თანხა უნდა დაფარულიყო 2007 წლის 30 მაისამდე, ფაქტობრივად დაიფარა 6 ივნისს, ერთი კვირის დაგვიანებით. მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, მყიდველის მიერ საბოლოო თანხა უნდა დაიფაროს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში[3].

---

[2] სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების მე-7 მუხლი.

[3] „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

შენობა-ნაგებობებისა და ტრანსპორტის პრივატიზების დინამიკა



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზება:

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან გაფორმებულია იპოთეკის ხელშეკრულებები, რითაც მყიდველებს მიეცათ საშუალება მიწის ნაკვეთების შესყიდვა განეხორციელებინათ ნაწილ-ნაწილ, 9 წლის განმავლობაში. ამასთან, მყიდველების მიერ ზოგიერთ შემთხვევაში არ არის გადახდილი იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველწლიური გადასახდელი, ხოლო სამმართველოს მიერ არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები - მიწის ნაკვეთების გაყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით[4]. კერძოდ, სააუდიტო პერიოდში, 26 შემთხვევაში მყიდველების მიერ დარღვეულია ხელშეკრულების პირობები და არ არის გადახდილი ყოველწლიური გადასახდელები (მათ შორის 13 შემთხვევაში 2 წლის, 2008 და 2009 წლების) რის გამოც მათ მიერ გადასახდელი თანხა

[4] სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 33,9 ათას ლარს. აქედან ყოველწლიური გადასახდელი თანხა (მთლიანი ღირებულების 10%) - 32,9 ათას ლარს, ხოლო ვადაგადაცილებულ დღეებზე დასაკისრებელი ჯარიმა - 1,0 ათას ლარს.

➢ ქარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში მდებარე 20 ჰექტარზე 2000 წლის 12 აპრილს გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებასა და გამგეობის შესაბამის დადგენილებაში (N152, 10.11.1999 წ.) სავარაუდოდ გადასწორებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძვლად იმავე ხელშეკრულებაში მითითებულია ქარელის რაიონის გამგეობის 1999 წლის 11 ნოემბრის N153 დადგენილება, რომელიც წარმოდგენილი ვერ იქნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ მითითებული 20 ჰექტრის პრივატიზება განხორციელდა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, რაც ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ იმ დროისათვის მოქმედ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მოიჯარეს განცხადებით უნდა მიემართა სამმართველოსათვის ხელშეკრულების ვადის შეწყვეტამდე[5].

➢ გორის რაიონის სოფელ დიდ წერეთში მდებარე 22,64 ჰა მიწის ფართობზე გაცემული მიწის და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმები, მოიჯარის პირველი რიგის მემკვიდრის, სოფო ბესტავაშვილის ნაცვლად, გაფორმებულია მემკვიდრის კანონიერ წარმომადგენელზე.

➢ საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საუძველზეც განხორციელდა გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მდებარე 7,3 ჰექტარი მიწის ნაკვეთის პრივატიზება, გაფორმებულია სელექციური მიღწევებისა და ჯიშთა გამოცდის სადგურთან. თუმცა, აღნიშნული ფართობი შესყიდულია ფიზიკური პირის, ლევან გურჩიანის მიერ (საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად, იგი წარმოადგენდა სადგურის დირექტორს) პირად საკუთრებაში.

---

[5] სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

➢ რამოდენიმე შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრივატიზებულია ისე, რომ საპრივატიზებო ფასში არ არის გათვალისწინებული მათზე მდებარე მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება (სულ 0,1 ათასი ლარი). კერძოდ: ასეთი სახითაა პრივატიზებული გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მდებარე 1,17 ჰექტარი, სოფელ კვარხეთში მდებარე 4,24 ჰექტარი და სოფელ ფხვენისში მდებარე 1,16 ჰა მიწის ნაკვეთები. თუმცა, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიწის ნაკვეთზე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მრავალწლიანი ნარგავების არსებობისას, მიწის ფასს ემატებოდა კანონმდებლობით დადგენილი მათი ღირებულება.[6]

➢ გარდა აღნიშნულისა, აუდიტის მსვლელობისას გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები, რომელთა შესწორებებზეც სამმართველოს მიეცა სათანადო მითითებები, კერძოდ:

- რამოდენიმე შემთხვევაში გამგეობის დადგენილებით ფართობი საიჯაროდ გამოეყო ორ ან მეტ პიროვნებას, საიჯარო ხელშეკრულება კი გაფორმდა ერთ-ერთ მათგანთან. შესაბამისად, მიწის შესყიდვა განახორციელა ერთმა პიროვნებამ გამგეობის დადგენილებაში სათანადო ცვლილების შეტანის გარეშე. ასეთი სახითაა პრივატიზებული გორის რაიონის სოფელ ფხვენისში მდებარე 14,6 ჰექტარი, სოფელ შავშვებში მდებარე 29,6 ჰექტარი და სოფელ კვარხეთში მდებარე 3,5 ჰექტარი, ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში მდებარე 2 ჰექტარი და სოფელ ღოღეთში მდებარე 6 ჰექტარი, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში მდებარე 37,9 ჰექტარი და სოფელ ფლევში მდებარე 15 ჰექტარი, კასპის რაიონის სოფელ დოესში მდებარე 198 ჰექტარი და სოფელ ლამისყანაში მდებარე 55 ჰექტაქრი.

- გორის რაიონის სოფელ დიდ წერეთში პრივატიზებული 15 ჰექტარი იჯარით გაიცა 2003 წლის 23 აპრილის N76 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მოიჯარეს 2001 წლის 25 აპრილის N92 დადგენილებით გამოყოფილი 66 ჰექტრიდან ჩამოეწერა 51 ჰექტარი და საიჯაროდ დარჩა 15 ჰექტარი. ფაქტობრივად,

[6] სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

2001 წლის ზემოაღნიშნული დადგენილებით მოიჯარეს გამოყოფილი ჰქონდა არა 66 ჰექტარი, არამედ 50 ჰექტარი. აღიშნული 15 ჰექტარი პრივატიზებულია 2004 წლის 8 ივნისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე.

- გორის რაიონის სოფელ შავშვებში მდებარე 10,9 ჰა მიწის ნაკვეთზე მდებარეობდა შენობა-ნაგებობები. შავშვების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ნაკვეთზე განლაგებული შენობებიდან სამი წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, დანარჩენი შენობები კი დანგრეული იყო. კერძო საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ ერთ შენობა-ნაგებობაზე. ამასთან, არ არის წარმოდგენილი სათანადო აუდიტორული დასკვნა იმის შესახებ, გააჩნდა თუ არა რაიმე ღირებულება ცნობაში მითითებულ ნანგრევებს.

- ორ შემთხვევაში შეუსაბამობებია ფაქტობრივად პრივატიზებული მიწის კატეგორიასა და საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ კატეგორიებს შორის. კერძოდ: ხაშურის რაიონის სოფელ ხალებში მდებარე 1,1 ჰა მიწის ნაკვეთი პრივატიზებულია, როგორც სათიბი. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კი მიწის ნაკვეთის კატეგორიად დადგენილია სახნავი. ასევე, ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში მდებარე 9,95 ჰა მიწის ნაკვეთი პრივატიზებულია როგორც საძოვარი, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კი, აღნიშნული მიწის ნაკვეთი აღრიცხულია, როგორც სათიბი.

- ორ შემთხვევაში 8,3 ჰექტარი ხელოვნური ტბორის ფართობი (3 ჰა სოფელ წრომში და 5,3 ჰ სოფელ კარალეთში) პრივატიზებულია სახნავის ფასად. არ არის წარმოდგენილი სათანადო აუდიტორული დასკვნა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა რაიმე ღირებულება აღნიშნულ ხელოვნურ ტბორებს.

- გორის რაიონის სოფელ შავშვებში მდებარე 0,19 ჰა მიწის ნაკვეთი პრივატიზებულია მასზე განლაგებულ სამ ერთეულ შენობა-ნაგებობასთან ერთად. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენდა 503,8 კვ.მ-ს. აქედან, ნაგებობა N1 – 327,68 კვ.მ, ნაგებობა N2 – 156,39 კვ.მ და ნაგებობა N3 – 19,7 კვ.მ. აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილია 327,68 კვ.მ და 19,0 კვ.მ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც

შეფასებულია 3000 ლარად. მიწის ღირებულებასთან ერთად საწყისი გასაყიდი ფასი განისაზღვრა 3015 ლარის ოდენობით (პრივატიზებულია 3100 ლარის 50%-ად). სამმართველოს პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, 156,39 კვ.მ. ფართი წარმოადგენდა ხის ნაგებობას, რომელიც აუდიტის მიერ ცალკე არ შეფასებულა და ზემოაღნიშნული 3000 ლარი მოიცავდა მის ღირებულებას.

- გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში მდებარე 0,72 ჰა მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე ყოფილი ფერმის (816 კვ.მ) შენობის საპრივატიზებო ღირებულება განსაზღვრულია 4,1 ათასი ლარის ოდენობით (პრივატიზებულია 4,5 ათასი ლარის 50%-ად). წარმოდგენილია 2006 წლის 20 აპრილის N050 და 2008 წლის 23 აპრილის N126/1 აუდიტორული დასკვნები აღნიშნული ფერმის შეფასებაზე. 2008 წლის 23 აპრილის დასკვნის მიხედვით, შენობა შეფასებულია 3,8 ათას ლარად, N050 დასკვნის შესაბამისად კი - 3,3 ათას ლარად. ამასთან, ამავე დასკვნაში (N050) მითითებულია, რომ ფერმის საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 21,5 ათას ლარს, 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კი - 58,0 ათას ლარს (აფასების შემდგომ). ფაქტობრივად, აღნიშნული შენობა პრივატიზებულია აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ისე, რომ სამმართველოს მიერ არ არის მოძიებული ქონების საბალანსო ღირებულება. საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის იმ დროისათვის მოქმედი წესის თანახმად კი, ობიექტების ღირებულებები კერძო აუდიტორების მიერ დგინდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოიპოვებოდა მათი საბალანსო მონაცემები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების დინამიკა



რეკომენდაციები:

სამმართველომ:

- შეიტანოს სათანადო ცვლილებები სოფელ დიდ წერეთში მდებარე 22,64 და სოფელ ხელთუბანში მდებარე 7,3 ჰექტარ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით გაცემულ საკუთრების მოწმობებში.
- იპოთეკის ხელშეკრულებებზე წარმოქმნილ დავალიანებებთან დაკავშირებით იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3. სახელმწიფო ქონების ჩამოწერისა და მიღებული ჯართის რეალიზაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

სამმართველოს მიერ სააუდიტო პერიოდში, აუქციონის გზით განხორციელებულია სხვადასხვა უწყებების ბალანსზე რიცხული 78,7 ათასი კილოგრამი შავი ლითონისა და 0,1 ათასი კილოგრამი ფერადი ლითონის ჯართის პრივატიზება. ჯართის შეფასება განხორციელებულია სათანადო აუდიტორული დასკვნების საფუძველზე.

4. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით საწარმოების შექმნისა და სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მდგომარეობა.

სააუდიტო პერიოდში სამმართველოს მიერ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა ოთხი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კერძოდ: შპს „სანიტარული ზედამხედველობა", შპს „გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვა", შპს „ქარელის საზოგადოებრივი ჯანდაცვა" და შპს „წეროსხევი". აღნიშნული საზოგადოებები, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სათანადო ბრძანებების საფუძველზე სამართავად გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

სამმართველოს მიერ 78 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქონება გადაეცა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს მთავრობის 2006 წლის 12 ივნისის N110 დადგენილებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სათანადო წერილების საფუძველზე.

სააუდიტო პერიოდში სამმართველოს მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული ქონება წარმოდგენილია დანართის სახით.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები: ქართლოს სახვაძე 26.04.2016 წ.

მამუკა გოგოხია 26.04.2016 წ.